ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲕᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 95 (19836) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 24 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲝ! ᲘᲣᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲖᲘ! ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲗ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲘ! 'ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲓᲘᲓᲘᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ!

● **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მრავალმა გემმა და სახმელეთო საწარმომ აქტიური მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს კოლეგიისა და შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშით და პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა თბომავალ „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის“ ეკიპაჟი.

კარგ შედეგებს მიაღწია ბათუმის ნავსადგურმა. მნიშვნელოვნად ამაღლდა ტვირთის გადმოცლის სამუშაოთა მექანიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დონე, ვადამდე დამუშავდა ათობით გემი, ნავსადგურის კოლექტივი ღირსეულად ხვდება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

● **ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ.** (საკ. კორ.). „ზვარეს“ მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის კოლექტივმა დაძლია წინა წლების ჩამორჩენა და ახლა დამაჯერებელ შედეგებს აღწევს.

გადაჭარბებით შესრულდა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის პირველი კვარტლის დავალებანი. გეგმები სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც შესრულდა. 120 ათასის ნაცვლად გამოშვებულია 143 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რეალიზებულია გათვალისწინებულზე 35 ათასი მანეთით მეტი ღირებულების მინერალური წყალი.

ქარხნის კოლექტივი წლიური გეგმის გადამეტებით 600 ათას ბოთლ „ზვარეს“ ჩამოასხამს.

საიუბილეო წელს ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

I. სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები

1987 წლის პირველ კვარტალში მიღწეულია საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ზრდა და ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესება. მაგრამ ბევრი მაჩვენებლის მიხედვით საგეგმო დავალებანი ვერ შესრულდა იმის გამო, რომ ხარვეზები იყო დაშვებული ორგანიზატორულ და სამეურნეო საქმიანობაში, სუსტად მოემზადნენ მთელი რიგი დარგების საწარმოები და გაერთიანებები ზამთრის პირობებისა და გაზრდილი მოთხოვნებისათვის. მარტში, წარმოების ზრდის დაჩქარების მიუხედავად, წლის დამდეგს დაშვებული ჩამორჩენა მთლიანად არ აღმოფხვრილა. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მატების ტემპს ანაწილებს შემდეგი მონაცემები (პროცენტობით):

	1987 წლის I კვარტალის გეგმა		1987 წლის I კვარტალი ფაქტობრივად		
	1986 წლის I კვარტალის გეგმასთან შედარებით	1986 წლის I კვარტალის ფაქტობრივ დონესთან შედარებით	1986 წლის I კვარტალის გეგმასთან შედარებით	1986 წლის I კვარტალის ფაქტობრივ დონესთან შედარებით	1987 წლის მარტი 1986 წლის მარტის ფაქტობრივ დონესთან შედარებით
მრეწველობის პროდუქცია	5,3	3,3	4,7	2,5	6,0
ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე	8	13	—0,4	5	8
სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი	8	10	2	4	11
საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის მოცულობა (გაგზავნა)	4,4	0,7	3,4	—0,2	1,9
შრომის ნაყოფიერება: მრეწველობაში	4,2	1,9	4,8	2,6	6,2
მშენებლობაში	4,5	1,3	6,5	3,3	8,1
რკინიგზის ტრანსპორტზე	5,6	—2,8	13,0	4,0	5,9
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	0,5	0,3	0,7	0,4	0,4
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარეშე) ფაქტობრივი ფასებით	6,5	5,2	3,8	2,5	1,6

წარმოებული ეროვნული შემოსავალი 1986 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 1 პროცენტით გაიზარდა, მარტში — 3 პროცენტით.

გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მრეწველობის პროდუქცია 5,4 მილიარდი მანეთით გადიდდა.

ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე 1,1 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

სსრ კავშირის **საგარეო-სავაჭრო ბრუნვის** მოცულობა 1986 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 4,8 მილიარდი მანეთით ანუ 15 პროცენტით შემცირდა და 27,5 მილიარდი მანეთი შეადგინა.

II. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. გრძელდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების რეალიზაცია. მანქანათმაშენებელ კომპლექსში სსრ კავშირში პირველად ათვისებული პროდუქციის წილმა შეადგინა იმ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ხვედრითი წილის 2,5 პროცენტი, რომელიც შეესაბამება მსოფლიო ტექნიკურ დონეს, მიაღწია 44 პროცენტს — ამ სახეობათა წარმოების მოცულობით.

მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის გამოყენებულია 6,3 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 12 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში.

მრეწველობაში დაიდგა 1300 მექანიზებული ნაკადური, ავტომატური, როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზი, 2 ათასი რიცხვულ-პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხი. განხორციელდა 1100-ზე მეტი უბნის, საამქროს, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ამოქმედდა ავტომატიზებული დაპროექტების 11 სისტემა.

დარგთშორისმა სამეცნიერო-ტექნიკურმა კომპლექსებმა შეასრულეს ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოები დიდფენტიან სახეობათა ტექნიკის, ტექნოლოგიის, მასალების შესაქმნელად. იქმნებოდა გაუჯობესებული დინამიკური, ენერგეტიკული და მასგამაორტიანი მახასიათებლების მქონე სამრეწველო რობოტები, ახალი თაობის მოწყობილობა. ხორციელდებოდა გამოკვლევები, ნამუშევრები და საცდელი სამუშაოები გაზისებრთა და თხევად გარემოთა გაყოფისათვის მაღალსელექტიური მემბრანებისა და მათ საფუძველზე სახალხო მეურნეობაში ფართო გამოყენების დანადგარების შექმნისათვის. პირველ კვარტალში სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გამოუშვეს 79 ათასი კვადრატული მეტრი პოლიმერული მემბრანა, რაც 4,4-ჯერ მეტია, ვიდრე გასული წლის იანვარ-მარტში იყო.

ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ შეასრულეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმები, მათ შორის სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახაგრორეწვმა, სსრ კავშირის სამედიცინო ხელსაწყოების მრეწველობის სამინისტრომ.

ნელა ინერგება პროგრესული ტექნოლოგიები. შავ მეტალურგიაში მიღწეული არ არის თერმულმტკიცე რელსების დაგეგმილი გამოშვება და ელექტროფოლადის წარმოებისა და ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ხვედრითი წილი. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში მთლიანად არ შესრულებულა კომპოზიციური მასალებისაგან დეტალების გამოყენების, ქიმიურ მრეწველობაში. — რადიაციული ტექნოლოგიის გამოყენებით პოლიმერების ნაწარმის გამოშვების დავალება.

პროდუქციის ხარისხი. გაიზარდა მომთხოვნელობა პროდუქციის ხარისხისადმი. 1987 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია სახელმწიფო მიღება მრეწველობის 1,5 ათას გაერთიანებასა და საწარმოში. ბევრი მათგანი მოუმზადებელი შეხვდა გადადებულ მომთხოვნელობას ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისა და პროდუქციის ხარისხისადმი. პირველ კვარტალში მიღებული. არ არის და არ ჩაუთვლიათ ანგარიში დაახლოებით 300 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების შესახებ.

საწარმოო პოტენციალის გამოყენება. დაიწყო ორ და სამცვლიან რეჟიმზე მრეწველობის გადაყვანა. ამის შედეგად რამდენადმე გაიზარდა მუშაობის ცვლიანობა, გამოთავისუფლდა დაახლოებით 44 ათასი ერთეული მოწყობილობა, რომლის ღირებულებაა 274 მილიონ მანეთი, 417 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობები. მათი ნახევარზე მეტი გამოყენებულია პროგრესული მოწყობილობის განლაგებისათვის, 17 პროცენტი — შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, 11 პროცენტი — სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ორგანიზაციისათვის.

ფართო მასშტაბით გადადიოდნენ მრავალცვლიან სამუშაოზე საწარმოები ლენინგრადში, ხარკოვისა და ულიანოვსკის ოლქებში. ამავე დროს გორკის, როსტოვის, ჩელიაბინსკის ოლქებსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში ცვლილებანი პრაქტიკულად არ მომხდარა.

ახალი პირობების მისადაგებით ჩამორჩენით გარდაიქმნებიან ტრანსპორტი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები. მრავალცვლიან რეჟიმზე გადასულ საწარმოთა გამოკითხული მუშაკების ნახევარს ხელს არ აძლევს საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა, 40 პროცენტს — სავაჭრო მომსახურება, მესამედს — საზოგადოებრივი კვებით უზრუნველყოფა.

დიდმწარმოებლური ტექნიკა არადამკმაყოფილებლად არის გამოყენებული. ამა წლის თებერვლის დამლევს მოწყობილმა შერჩევითმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ სსრ კავშირის ჩარხთსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში არ მუშაობდა შარშან დადგმული სამრეწველო რობოტების 40 პროცენტი, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სისტემაში — 33 პროცენტი, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 24 პროცენტი.

მატერიალური რესურსების ეკონომია. სახალხო მეურნეობაში დაიზოგა დაახლოებით 4 მილიონი ტონა პირობითი სათბობი, 450 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 500 ათას ტონაზე მეტი ცემენტი, გამოყენებულია 37 მილიონ გიგაკალორიაზე მეტი თბომეორეული ენერგეტიკული რესურსები. საკმარისად არ არის გამოყენებული მეორეული ნედლეული.

მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. 1987 წლის დამდეგიდან მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამშენებლო და აგროსამრეწველო კომპლექსების, რკინიგზის, საერთო სარგებლობის სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ყველა გაერთიანება და საწარმო (ორგანიზაცია), აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის მთელი რიგი საწარმოები მუშაობენ მეურნეობრიობის ახალ პირობებში.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადაყვანილია სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების 37 მსხვილი გაერთიანება (საწარმო). ისინი უშვებენ სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობის 20 პროცენტზე მეტს.

თვითდაფინანსების პრინციპები სპეციფიკის გათვალისწინებით საფუძველად დაედო სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის, საზღვაო ტრანსპორტის, ბელორუსიის სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოთა სამეურნეო მექანიზმს.

პირველ კვარტალში თვითდაფინანსების პირობებით მომუშავე მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა ვერ შეასრულეს მოგების გეგმა, დაუშვეს პროდუქციის თვითღირებულების გაძვირება, დაარღვიეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი მიწოდების მიხედვით.

III. მატერიალური წარმოების განვითარება

მრეწველობა

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა მარტში გასული წლის ფაქტობრივ დონესთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა, მთლიანად პირველ კვარტალში — 2,5 პროცენტით. პირველ კვარტალში გასული წლის იმავე პერიოდის საგეგმო დონესთან შედარებით გეგმით გათვალისწინებული იყო 5,3 პროცენტით მატება, ფაქტობრივად კი მან შეადგინა 4,7 პროცენტი.

შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივ დონესთან შედარებით 2,6 პროცენტით გაიზარდა, ამის ხარჯზეა მიღებული წარმოების მთელი მატება.

სახელშეკრულებო ვალდებულებებს სრული მოცულობით გაართვა თავი საწარმოთა 80 პროცენტმა. მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით მთლიანად პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულდა 97,8 პროცენტით, რაც ნაკლებია 1986 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით.

წარმოების მატების ტემპსა და შრომის ნაყოფიერებას სახალხო-სამეურნეო **კომპლექსებისა და მოკავშირე რესპუბლიკების** მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები (პროცენტობით):

	სასაქონლო პროდუქციის მატება						შრომის ნაყოფიერება 1987 წლის I კვარტალის 1986 წლის I კვარტალის შედარებით
	1987 წლის I კვარტალის გეგმა		1987 წლის I კვარტალი ფაქტობრივად		1987 წლის მარტის ფაქტობრივ		
	1986 წლის I კვარტალის გეგმასთან შედარებით	1986 წლის I კვარტალის ფაქტობრივ დონესთან შედარებით	1986 წლის I კვარტალის გეგმასთან შედარებით	1986 წლის I კვარტალის ფაქტობრივ დონესთან შედარებით	1986 წლის მარტის ფაქტობრივ დონესთან შედარებით		
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	3,1	2,0	4,2	3,0	4,1	3,1	
მეტალურგიული კომპლექსი	2,8	0,5	3,3	1,1	2,2	1,8	
მანქანათმაშენებელი კომპლექსი	7,6	5,5	3,3	1,3	10,8	1,2	
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	4,5	2,2	4,3	2,0	3,7	2,7	
აგროსამრეწველო კომპლექსი	5,7	1,7	7,1	3,1	6,4	3,3	
სსრ კავშირის საშინ მასალათა სამინისტროს სამშენებლო კომპლექსი	3,5	1,4	3,7	1,6	4,0	2,9	
რუსეთის სფსრ	4,2	2,2	4,5	2,5	6,2	3,0	
უკრაინის სსრ	4,7	2,2	3,9	1,4	6,3	1,8	
ბელორუსიის სსრ	7,2	4,2	8,7	5,6	10,1	5,4	
უზბეკეთის სსრ	4,4	0,5	5,8	1,8	3,9	—1,4	
ყაზახეთის სსრ	5,0	1,6	6,6	3,1	7,0	2,7	
საქართველოს სსრ	2,0	—0,5	2,9	0,4	2,1	—0,1	
აზერბაიჯანის სსრ	4,0	2,1	5,4	3,5	5,0	2,7	
ლიტვის სსრ	5,9	3,8	6,4	4,3	8,0	4,3	
მოლდავეთის სსრ	8,4	5,0	8,4	5,1	13,9	5,1	
ლატვიის სსრ	3,4	1,5	2,6	0,7	5,5	1,5	
ყირგიზეთის სსრ	—0,4	—3,0	1,4	—1,2	3,0	—2,0	
ტაჯიკეთის სსრ	3,5	—0,2	5,8	1,9	3,5	—0,2	
სომხეთის სსრ	5,6	3,0	6,8	4,2	7,8	2,7	
თურქმენეთის სსრ	6,0	1,3	7,7	2,9	3,2	1,1	
ესტონეთის სსრ	3,2	1,0	4,7	2,4	7,1	3,3	

სამრეწველო კომპლექსების ჭრილით ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების მონაცემები მოგვყავს ქვემოთ:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი

	1987 წლის I კვარტალში წარმოებულია	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი 1986 წლის მარტთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	453	100,5	104	105
ნავთობი (მათ შორის გაზის კონდენსატი), მილიონი ტონა	153	100,6	103	102
გაზი, მილიარდი კუბური მეტრი	183	102	107	106
ქვანახშირი, მილიონი ტონა	196	102	101	102

სტაბილურად მუშაობდნენ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგები.

გეგმის გადაჭარბებით მოპოვებულია მილიონი ტონა ნავთობი, მათ შორის, გაზის კონდენსატი, 3 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, 3,4 მილიონი ტონა ქვანახშირი.

მეტალურგიული კომპლექსი

	1987 წლის I კვარტალში წარმოებულია	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი 1986 წლის მარტთან შედარებით
ფოლადი, მილიონი ტონა	40,1	100,3	100,1	100,8
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	28,1	100,9	100,8	102
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	4,9	99,2	101	105
რკინის მადანი, მილიონი ტონა	61,4	102	100,6	100,7

ვერ დაძლიეს იანვარში დაშვებული ჩამორჩენა ფოლადის მილების, პროგრესული დიდეფექტიანი ლითონპროდუქციის მთელ რიგ სახეობათა წარმოების მიხედვით. მათ შორის: ნამზადების უწყვეტი ჩამოსხმის მანქანებზე მიღებული სხმული ნამზადი, მცირედლეგირებული ფოლადისაგან დამზადებული ნაგლინი, ცივნაგლინი ფურცელი, გრეხილი ფოლადის პროფილები, ნავთობის სორტამენტის მაღალი სიმტკიცის მილები და სხვა.

მანქანათმაშენებელი კომპლექსი

	1987 წლის წარმოებულია I კვარტალში	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი 1986 წლის მარტთან შედარებით
ტურბინები, მილიონი კილოვატი	3,1	66	70	69
ტურბინების გენერატორები, მილიონი კილოვატი	2,3	82	82	115
ცვლადი დენის ელექტროძრავები, მილიონი კილოვატი	13,0	90	94	105
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	683	90	95	103
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვის	318	100,1	103	105
სამეჯდრო-საწნეხი მანქანები, მილიონი მანეთისა	164	86	95	111
სამრეწველო რობოტები, ათასი ცალი	3,3	104	88	89
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,2	97	101	113
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,2	96	106	132
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთისა	61,7	93	97	101
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	236	91	95	108
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	432	88	93	102
ტრაქტორები, მილიონი ცხენის ძალის	13,4	95	96	106
სასოფლო-სამეურნეო მანქანები მილიარდი მანეთისა	1,0	100,3	103	110
მარცვლის ასაღები კომბაინები, ათასი ცალი	25,6	103	84	90
ბამბის ასაღები მანქანები, ათასი ცალი	1,8	102	81	91
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები და მოწყობილობა, მილიარდი მანეთისა	682	88	94	110
ექსკავატორები, ათასი ცალი	9,9	92	93	110

მანქანათმაშენებელი კომპლექსის სამინისტროების საწარმოებმა გაზარდეს მრავალი სახეობის პროგრესული ტექნიკის, მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვის, ლითონსაჭრელი ჩარხებისა და სამჯდომ-საწნეხი მანქანების, დამამუშავებელი ცენტრების, თანამედროვე წინამძრავიანი მსუბუქი ავტომობილების, როტორულ-კონვეიერული ხაზებისა და სხვათა წარმოება. ამასთან პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პირველ კვარტალში 97 პროცენტით შესრულდა, სახალხო მეურნეობას დააკლდა 732 მილიონი მანეთის პროდუქცია.

არ შესრულდა მრავალი სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა. სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო საგლინი მოწყობილობისა და თბომავლების გამოშვების გეგმის შესრულება, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ — ცვლადი დენის ელექტროძრავებისა, სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებმომპოვებელი მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — საკვების ასაღები კომბაინებისა, სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ექსკავატორებისა — სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — სართავი მანქანების გამოშვება.

დასახელებულ ნაკლები რაოდენობით გამოუშვეს პროგრესულ სახეობათა მანქანები და მოწყობილობა: სხვადასხვა ტექნოლოგიური დანიშნულების მოქნილი საწარმოო მოდულები, ახალი სერიის მუდმივი დენის ელექტროძრავები და მანქანები, დიზელისძრავიანი სატვირთო ავტომობილები, 8 მეტრი პირმოდების მძიმე სექციური კულტივატორები. კვლავ რიტმული არ არის წარმოება. უკანასკნელი კვირის მანძილზე გამოდის ჩარხმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის მოწყობილობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციის ერთი თვის პროგრამის ნახევარზე მეტი.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი

	1987 წლის წარმოებულია I კვარტალში	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი 1986 წლის მარტთან შედარებით
მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით) მილიონი ტონა	9,0	102	103	105
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები (მოქმედი ნივთიერების მიხედვით 100 პროცენტზე გადაანგარიშებით) ათასი ტონა	87,6	99,96	102	112
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	7,3	98	104	106
კაუსტიკური სოდა, ათასი ტონა	832	98	99,8	103
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, ათასი ტონა	383	100,5	103	103
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, მილიონი ტონა	1,4	97	99,3	100,5
ავტომობილების, ავტობუსების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების, სალტეები, მილიონი ცალი	17,0	99,6	100,6	103
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარეშე), მილიონი ფესტმეტრი	108	99,9	100,2	102
ქაღალდი, მილიონი ტონა	1,5	99,1	99	101
აქედან გაზეთისა, მილიარდი კვადრატული მეტრი	9,0	100,1	103	104

გაიზარდა პროგრესული საკონსტრუქციო პლასტიკური მასალების, სინთეზური ბოჭკოებისა და ძაფის, რადიალური კონსტრუქციის სალტეების, შემცირებული მასამოცულობის საგაზეთო ქაღალ-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-4 ᲖᲔ.).

24 აპრილი ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღეა

საერთო მიზანი და მისწრაფება ამოძრავებს მსოფლიოს პროგრესულ ახალგაზრდობას. ისინი სწავლობენ, შრომობენ, იბრძვიან მთელი ცივილიზაციის მშვიდობიანი მომავლისათვის.

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტების ჯგუფი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲒᲕ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ.

„ბანკში ფული არ არის“

უკანასკნელი თვეების მანძილზე არაერთხელ მოუსმენიათ ასეთი ახსნა-განმარტება რესპუბლიკის ათასობით მუშა-მოსამსახურეს ხელფასის გაცემის დღეს. და ეს სიმართლე იყო. ეს ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული პრობლემაა. მაგ რატომ არ არის ბანკში ფული? ჩვენი ბრალიც ხომ არ არის? განა თითოეულ ჩვენგანს დროულად შეაქვს თუნდაც კომუნალური მომსახურების ქირა? სამწუხაროდ, არა. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ პოზიციის მიხედვით ბანკებში არ შესულა 130 ათასი მანეთი, სხვადასხვა გადასახადისა და გამოსაღების სახით სახელმწიფო ხაზინას დააკლდა 410 ათასი მანეთი, საბინაო კოოპერატივების ანგარიშებზე არ შეუტანიათ 330 ათასი მანეთი. მაგ, საიდან უნდა გაჩნდეს ფული ბანკში?

შექმნილი სერიოზული სიტუაცია გახდა თემა სელექტორული თათბირისა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივენი გ. ა. ანჩაბაძე და ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რ. საჯაია, რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

დღეისათვის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საცალო საქონელბრუნვის მდგომარეობა. ამ მუხლის მიხედვით გეგმა ვერ შესრულა როგორც სახვაჭრობის სისტემამ, ასევე სამომხმარებლო კოოპერაციამ. ვაჭრობის ამონაგების დავალებანი ვერ შეასრულეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, ქალაქებმა თბილისმა, ქუთაისმა, რუსთავმა, წყალტუბომ, აბაშის, ახმეტის, ბორნისის, გეგეჭკორის, დუშეთის, კასპის, ლანჩხუთის, მახარაძის, თერჯოლისა და სხვა რაიონებმა. შესაბამისად, მკვეთრად გამწვავდა ფულის მიმოქცევის მდგომარეობაც.

საქონელბრუნვისა და ფულის მიმოქცევის დავალებათა შესრულებაზე უარყოფით გავლენა მოახდინა ნაკლოვანებებმა ვაჭრობის ორგანიზაციაში, სხვადასხვა დარღვევამ და ბოროტმოქმედებამ, როგორიც არის გადიდებული მოთხოვნის საქონლის გადამალვა. აზვიათი როდა აღურიცხავი პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის ფაქტები. ეს ფაქტები, მაგალითად, გამოვლინდა ქალაქ თბილისის, ბოლნისის, ოჩამჩირისა და სხვა რაიონების მაღაზიებში. ხოლო „ზღვარნსვაჭრობის“ სოხუმის კანტორის მაღაზიაში ახლახან გამოვლინეს 54 ათასი მანეთის უფასურური საქონელი.

მაგრამ ამ მართლსაწინააღმდეგო „შედალს“ მეორე მხარეც აქვს: სოციალისტური საკუთრების დატაცება. მარტო თბილისის სამეურნეოვაჭრობის №7 მაღაზიაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა დანაკლისმა 77 ათასი მანეთი შეადგინა.

ვითარების სერიოზულობას განაპირობებს ისიც, რომ ადგილებზე პრაქტიკულად არ ეწევა კონტროლი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ვაჭრობათაგან სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას. თანაც, საქმე მხოლოდ მათი როდენობრივი ნაკლებობა როდია. უარესდება ბათუმისა და თბილისის №2 მექანიკური ქარხნების, ცხინვალის ტრიკოტაჟის, თელავის წინდის ფაბრიკებისა და მრავალი სხვა საწარმოს მარკიანი პროდუქციის ხარისხი. აქ დაფუნებული საქონელი 20-30 პროცენტს შეადგენს.

კიდევ ერთი რგოლი, რომლის გამოც ფერხდება სალარის გეგმის დავალებათა შესრულება — ეს არის ფასიანი მომსახურების, მათ შორის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის განვითარების დაბალი დონე. მრავალი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო, მოსახლეობის საზარალოდ, ორგანიზაციებს ემსახურება. მაგალითად, ორგანიზაციებისათვის გადარიცხვით შესრულებული ყველა მომსახურების ხვედრითი წილი ფოთში 45 პროცენტს შეადგენს, ტყიბულში — 41, ახმეტის რაიონში — 31, წალენჯიხის რაიონში — 30 პროცენტს. ხშირად ამას მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ადგილობრივი ხელმძღვანელობაც. მაგალითად, პარტიის სამტრედიის რაიკომი ავალებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს შეასრულონ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები ორგანიზაციებისათვის.

არადამაკმაყოფილებლად ვითარდება ფასიანი ორგანიზაციის ბაზვევის სისტემა ზესტაფონის ფეროშენაღნობთა ქარხანაში, სოხუმის გაზის აპარატურის საექსპერიმენტო ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, შორაპნის ქარხანა „ელექტროაპარატში“, თბილისის ჩარხსაშენებელ საწარმოო გაერთიანებაში. მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატს, თბილისის „საელექტრომაქანის“ საწარმოო გაერთიანებას, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას და მრავალ სხვა საწარმოს სულაც არ მოუკიდია ხელი თავიანთი მშრომელების საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით თათბირის მონაწილეებს დაეკვალთ ყოველდღიური კონტროლი დაუწესონ ვაჭრობის ამონაგების შემოსვლასა და ფასიანი მომსახურების სიმაღლეზე. იგი ძალიან ხშირად მკაცრად და გაბედულად ამხილებდა ჩვენი სინამდვილის ნეგატიურ მოვლენებს. ეს სასახელო მისაბაძი ტრადიცია კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ეტყობა, გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის საქმე ჩვენი შემოქმედებითი კავშირების საქმიანობას უფრო ეხება. მართლაც, საჭიროა მონახოს სულ ახალი-ახალი ფორმები, ახალი მეთოდები, რომლებიც მეტად შეუწყობს ხელს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ადამიანებს შემოქმედებითს მუშაობაში.

მხატვრული ინტელიგენცია მართლაცდა სწორედ პირველი საიმედო დასაყრდენი ძალაა იმ დიდ რევოლუციურ მოძრაობაში, დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში მთელი ენერგიით და ფართოდ რომ გაიშალა. ლიტერატურა და ხელოვნება, თუ ნამდვილი და ჭეშმარიტი იყო, ყოველთვის დემოკრატიზმის პრინციპებს ემსახურებოდა, ხალხის, ადამიანის მწერლობა და ხელოვნება იყო, მით უფრო, საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა. ასეთია საუკუნეობრივი გამოცდილება და ტრადიცია.

რასაკვირველია, უნდა მოველოდეთ და კი გაგვიკვირდეს ისიც, რომ გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის განხორციელების ამ პირველ ეტაპზე მრავალ სირთულესთან გვექნება საქმე და არაჯანსაღ მოვლენებსაც შევეჯახებით, როგორც ეს ასეთ სიტუაციებში ყოველთვის ხდება ხოლმე. არ არის გამორიცხული, რომ ზოგ-ზოგებმა საჭიროდ ჩათვალონ განურჩევლად გადაუსვან ხაზი მთელი იმ განვლილი ათეული წლების ნაღვაწნამაგარს, მაგრამ დროდადრო ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციების გარდაქმნამ და დემოკრატიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს ნამდვილად ნიჭიერ შემოქმედთა წინსვლასა და დაოსტატებას, უფრო მეტად მისცეს „ნიჭსა გზა ფართო“, რათა გამორჩეულ ნიჭიერებათა ბედი არ იყოს დამოკიდებული არავითარ გათანაბრებასა და „განაწილებაზე“. არ შეიძლება, ვთქვათ, სოციალიზმი ერთ სპექტაკლს მონაწილეებს მომდერლებისა და თანამშრომელთაგან ირჩევდნენ კენჭისყრით ან რიგითობის მიხედვით. ჩვენ განსაკუთრებული მოთმინებით და სერიოზულობით უნდა მივყვეთ ჩვენს საქმეს, გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ჭეშმარიტად ისტორიულ, საშვილიშვილო საქმეს.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი.

მეტი ღვაწლი და სწრაფვა!

ბოდიშია გარდაქმნისათვის საყოველთაო მოწოდებაა და იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. სხვა საუწყებო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, შემოქმედებითს ორგანიზაციაში, რაც უფრო მეტი ინდივიდუალური ხელწერის, თვალსებური მხატვრული აზროვნების თავისთავადი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანია, მით უფრო მეტია წინაღმდეგობები და ერთიერთდაპირისპირებები. შემოქმედებით მხატვრულ ცხოვრებას არაფერი ისე არ ვნებს, როგორც ხელოვნის ინდივიდუალურობისადმი ერთნაირმა სტერეოტიპული დამოკიდებულება. ჩემი აზრით, გარდაქმნა მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების შეცვლით უნდა დაიწყოს. საჭიროა ღრმად გავაანალიზოთ, შევამოწმოთ საკუთარი პიროვნული სიმართლე და შემდეგ სხვა მოვლენებისადმი ჩვენი მიმართების სისწორე. გარდაქმნა ადამიანთა გენეტიკურ ინდივიდუალურ თვისებათა შეცვლას არ გულისხმობს. უნიჭოს ნიჭიერად ვერავინ გადააკეთებს, ან — პირიქით! ადამიანის განსხვავებულ ბიორიტმულ წყობას, ხასიათს, ტემპერამენტს ბუნება ბადებს და მისი ხელოვნურად შეცვლა შეუძლებელია. ბუნების ეს თვისებურება ყველა ადამიანში მეტ-ნაკლებად არის გამოხატული, მაგრამ, განსაკუთრებით თვალსაჩინო და საგრძნობია იგი შემოქმედების სფეროში, იქ, სადაც ხელშესახებად ფიქსირდება და ვლინდება პიროვნების ბუნება, ტალანტის „შინაგანი სახე“, სადაც ზრომის შედეგი სულიერ ღირებულებას იძენს. ალბათ, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს შემოქმედებითი ორგანიზაცია წინაღმდეგობების გარეშე, მთავარია, ეს წინაღმდეგობა ძალით თავს მოხვეული, რომელიმე მხატვრულ-ესთეტიკური მიმართულების საფეოქველზე არ იყოს აღმოცენებული. საქართველოს მხატვართა კავშირს თავის მუშაობაში აქვს ნაკლი როგორც შემოქმედებითი, ისე ორგანიზაციული ხასიათისა — იგი ჯერ კიდევ ყველა მხატვარს ვერ აკმაყოფილებს საბელოსნოებით, სამუშაოებით, წოდებებით, მონოგრაფიებით. ჯილდოებით და სხვა, მაგრამ, ვფიქრობთ, შემოქმედებითი ორგანიზაციის მუშაობის ავ-კარგს მაინც უფრო მეტად განსაზღვრავს არა მის წევრთა კმაყოფილება თუ უკმაყოფილება გრძნობა, არამედ საერთო მხატვრული შედეგი. მიუხედავად სიძნელეებისა, საქართველოს მხატვართა კავშირს წარმატებებიც არ ეუცხოება, ცალკეულ შემოქმედთა საერთაშორისო მასშტაბით მოპოვებულ გამარჯვებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ახლახან მოსკოვში გახსნილი ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის დიდი წარმატებაც იკმარებდა. ეს გამარჯვება ჩვენი მხატვრების ნიჭიერებით არ აიხსნება მხოლოდ, იგი იმ მხატვრულ-ესთეტიკურმა კრიტერიუმმაც განსაზღვრა, ზოგიერთი დღეს დაკარგულად რომ მიიჩნევს.

ჩვენ ვცდილობთ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში მხატვრებს ადმოვუჩინოთ მორალური და მატერიალური დახმარება. მართალია, ასაკის ცნება ხელოვნებაში პირობითია და იგი წლების რიცხვით არ განიზომება, მაგრამ, თუ ჩვენ გვინდა მაინც მეტი ყურადღება ახალგაზრდობას დავუთმოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ჩვენგანი ახალგაზრდობიდან მოვდივართ და დღემდე არ დავგვიწყვია უფროსი თაობის ჩვენდამი ყურადღება. აქ მშვენივრად ილაპარაკა მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდის პრობლემებზე გია ყანჩელმა და მე თავს აღარ შევაწყენინებ, რა თქმა უნდა მომავალი ყურადღებას ითხოვს, სულიერი ენერგია—რეალიზაციას. ამისათვის კი საჭიროა ამ ენერგიის შესატყვისი მატერიალური და ტექნიკური ბაზა, მისი გარდაქმნა და გაძლიერება ისე, რომ იგი აკმაყოფილებდეს რეალურ მოთხოვნილებას. საჭიროა ისე წარვმართოთო მუშაობა, რომ მომავალი თაობა მეტს ფიქრობდეს და იღვწოდეს საკუთარი იდეალების ხორცშესასხმელად. ვიდრე ჩვენი შეცდომების გამოსწორებისათვის.

ელგუჯა ამაშუკელი,
საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

რისკით და სითამამით!

საკითხები და პრობლემები ულევია, ყველაფერზე ახლა გვიწევს პასუხის გაცემა...

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მხოლოდ საკითხების დასმა, პრობლემების წამოჭრა არ არის საკმარისი. საჭიროა წინაღმდეგობების მეტი სითამამით დაძლევა. ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე განმაახლებელი ძვრები აშკარად ითხოვს ყოველ ადამიანის, ხალხის, ეროვნების, ეკონომიკური ცხოვრების შინაარსის, ეროვნული ენის, ეროვნული ფერის, ეროვნული ფასეულობის, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების, ეროვნული ეკოლოგი

დაჩქარება • საჯაროობა • კადრები

მუშაობას ეწევა. ამას წინათ თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა სახელგანთქმული მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრი შესანიშნავი რეჟისორის ბორის პოკროვსკის ხელმძღვანელობით. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს უნიკალური თეატრია. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქალაქი, ამ თეატრის სპექტაკლებზე იოლად რომ იშოვებოდეს ბილეთები. ჩვენც ძალიან ბევრი ვეცადეთ, რომ იგი თბილისში ჩამოგვეყვანა. მაგრამ... დარბაზის მესამედი ივსებოდა მხოლოდ, და თურმე ისიც — მაყურებლის ორგანიზაციის შედეგად. ერთი სავალალო ფაქტიც უნდა მოგახსენოთ — ეს თეატრი თბილისიდან ერევანში წავიდა, ასევე „შეგობრობის“ თეატრის“ მიწვევით, და იქ ორი კვირით დაყოდესა ყველა სპექტაკლის ბილეთები. ორი კვირით ადრე! ჩვენში კი სპეციალისტებიც არ დასწრებიან. არ მოვიდა არც ერთი მუსიკათმცოდნე, კომპოზიტორი, მსახიობი, რეჟისორი... ნუთუ ასე ცარგად ვიცით ყველაფერი, რომ ოცარაფერი გვინტერესებს?!

შემდეგ თბილისს ეწვია პოპულარული თეატრი — ოდესის ოპერეტის თეატრი, მაგრამ ისიც მაყურებელთა ნაკლებობას განიცდის.

მაყურებელი არ მოვიდა ლევ დუროვის, ზინონი გერგის, გ. ვიცანის და სხვა მსახიობთა შემოქმედებით საღამოებზე.

ყოველივე ამის გამო საკავშირო თეატრალურ წრეებში თბილისი კარგავს თეატრალური ქალაქის რეპუტაციას.

თეატრი მარტო პრემიერები არ არის. თეატრი ყოველდღიური დღესასწაულია, და თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. შესაძლოა, ყველაფერი ეს არცთუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ დროზე უნდა შემოგვრთო განგაშის ზარი, რათა თბილისს თეატრალური ქალაქის რეპუტაცია დავუბრუნოთ!

გიგა ლორთქიფანიძე,
რეჟისორი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე.

კადრები ნყვეტენ ყველაფერს!

განსაკუთრებით გვაღელვებს სამეცნიერო კადრების პრობლემა: რესპუბლიკის მეცნიერთა ასაკობრივი სტრუქტურა აუცილებლად მოითხოვს გაუმჯობესებას, გაახალგაზრდავებას.

სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების კოორდინირება გვეკალება ჩვენ და ამ მიზნის განხორციელებისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილების გამოძებნა ჩვენი კომიტეტის გადაუდებელი და ერთის პასუხსაგები საზრუნავია. თავად განსაჯეთ: რესპუბლიკაში სულ ხუთიოდე მეცნიერების დოქტორი გყავს ორმოცი წლის ასაკამდე, ხოლო ყოველი მეხუთე დოქტორი 70 წელს არის გადაცილებული. მეტად დიდ იმედებს ვამყარებთ სადირექტივო გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ველით და რომელიც შეეხება დოქტორანტურის ჩამოყალიბებას.

მიგვაჩნია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ დოქტორების მომზადების ისეთი ფორმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს პედაგოგ-მასწავლებლების ნაწილი, რომელსაც სადოქტორო დისერტაციის გარკვეული მონაკვეთი მესრულებული აქვს, კათედრებზე უფროს მეცნიერ თანამშრომლად გადავიყვანოთ.

ამრიგად, ჩვენ ხარისხობრივად განვითარებულებთ მოწონავე პოზიციებს, რომლებიც დღეს გვიჭირავს საკავშირო მაჩვენებლების მიხედვით (მაღალკვალიფიკაციური კადრების პროცენტული რაოდენობით).

გარდაქმნასთან დაკავშირებით წამოვიდა ისმის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის საკითხიც. ინსტიტუტი იქნება თუ მისი ფილიალი, საპროექტო თუ დარგობრივი ლაბორატორია, უნდა იძლეოდეს შედეგს — უკუგებას იმ დონეზე, რომელიც დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს დაეკმაყოფილებს გამკაცრებული კრიტერიუმების შესაბამისად. აუცილებელია ინსტიტუტებში მიმდინარე ფუნდამენტური კვლევა-ძიება ორიენტირებული იყოს გამოგონებებსა და აღმოჩენებზე, ხოლო გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები — დაეტვირთოს და მაღალ ეკონომიკურ ეფექტზე. კვლევითი სამუშაო თანისი მეცნიერული დონით და ტექნიკური საერთაშორისოს უნდა ეესაბამებოდეს და იგი ლიცენზიების დამუშავებისა და სავალუტო შემოსავლის წყაროდ უნდა იქცეს.

ამ ბოლო დროს საკავშირო პრესაში პერიოდულად ქვეყნდება დაგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ეგრეთ წოდებული სახელმწიფო შემოწმებების შედეგები. საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა შეამოწმა თხუთმეტამდე დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ დახურულიყო შემოწმებული ინსტიტუტების ნახევარზე მეტი — სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნაკლებეფექტიანად წარმართვის გამო.

ამგვარივე ღონისძიებების განხორციელება ჩვენშიც საჭიროა, მაგრამ იგი ჩვენ სერიოზული პრობლემების წინაშე დაგვაყენებს, ვინაიდან რესპუბლიკაში პრაქტიკულად ერთი პროფილის ორი სამეცნიერო დაწესებულება არ გაგვაჩნია და უკიდურესი ზომების მიღებით ორმხრივ არაასასურველ შედეგს მივიღებთ: ერთი ის, რომ ძალზე გართულდება გამოთავისუფლებული სპეციალისტების სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა და, მეორე, სამეცნიერო მომსახურების გარეშე დარჩება შესაბამისი სახალხო მეურნეობის დარგი. ამიტომ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ავამაღლოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა და მისი შედეგები, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდება, გამორიცხული არ არის ჩვენს რესპუბლიკაში უკიდურესი საქმეების განხორციელება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მიმართ.

საერთოდ, უკანასკნელ ხანს სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად სერიოზულად ვამოწმებთ სამეცნიერო ორგანიზაციებს. შემოწმების შედეგად, კერძოდ, დავადგინეთ, რომ შავი ზღვის სანაპიროზე სხვადასხვა დაქვემდებარების 9 კოროზიის სადგურია. მათი პროფილი და სამუშაოს ხასიათი აბსოლუტურად ერთგვაროვანია, რის გამოც უმტკივნეულოდ შეიძლება შვიდი ლაბორატორიის ერთ-ერთ ან ორ-ორ ლაბორატორიად ანუ ერთ-ორ ინსტიტუტად ორგანიზაციულ-ტექნიკური ბაზა, კვლევის ავტომატიზაციის სისტემების პრაქტიკულად სრული უქონლობა (მცირე გამონაკლისის გარდა). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი უკვე შეუდგა ამ დარგში შექმნილი მდგომარეობის ძირფესვიან გაუმჯობესებას.

ამავამად, როგორც ცნობილია, საბჭოთა მეცნიერების კადრებით უზრუნველყოფის სისტემაში რადიკალური გარდაქმნები მიმდინარეობს. დასახული ღონისძიებები ზედმიწევნით პროგრესულია, იგი ხელს შეუწყობს მეცნიერებაში ახალი, ახალგაზრდა ძალების მოსვლას, და, რაც მთავარია, შექმნის მათი შემოქმედებითი განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს იმ ინტელექტუალური პოტენციალის დაქვეითებისა და, მით უმეტეს, დაკარგვის ხარჯზე, რომელიც უფროსი თაობის მეცნიერებაშია დაგროვილი. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ, რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარება ხდება ახალი იდეების განვითარებისა და მათი დაპირისპირების შედეგად, რაშიც უდიდესი წილი სწორედ ახალგაზრდა მეცნიერებს მიუძღვით, მაგრამ გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ახალი იდეები იმ კოლექტივებში იბადება, სადაც უკვე არსებობს ღრმა მარაგი, რომელიც მეცნიერების საფუძველს ქმნის და უზრუნველყოფს ახალი იდეების წარმოშობას, ხშირად ამ მეცნიერულ კოლექტივში არსებული კონცეფციების საწინააღმდეგოდაც კი. გარდა ამისა, საიდუმლო არ არის, რომ ზოგიერთი პროფესიისათვის, მაგალითად, პრაქტიკული მედიცინისათვის სწორედ გამოცდილებას, მრავალწლიან გამოცდილებას ვერ შეაცვლი ვერაფრით. ამით მე მინდა ვთქვა: მეცნიერებაში ახალგაზრდა ძალების გაძლიერებული მოზიდვის პროგრესული პროცესში უნდა გავფრთხილდეთ უდიდეს ცოდნას, რომელიც უფროსი თაობის მეცნიერებს აქვთ. მაგრამ აქ კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრება, რომლის გადაუწყვეტლად შეუძლებელია მივალწიოთ ძირფესვიან გარდატეხას მეცნიერების განვითარებაში. ვაკეთებთ თუ არა ჩვენ ყველაფერს, რომ უფროსი თაობების ცოდნა თავის დროზე, სრულყოფილად და თანამედროვეე მოთხოვნილებათა გათვალისწინებით გადავცეთ ახალგაზრდა მეცნიერებს? საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ჩვენს მეცნიერს იწვევენ ლექციების წასაკითხად საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების უაღრესად ავტორიტეტულ უმაღლეს სასწავლებლებში, მაშინ, როდესაც აქ, საქართველოში, მათ ამის საშუალება არა აქვთ. საქმე ისიც არის, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დარგში), როგორც წესი, უმაღლესი სასწავლებლებიდან მოუმზადებელი მოდის მეცნიერული ამოცანების თანამედროვე მეთოდიკურ დონეზე. [illegible] ჟრელად. მაგალითად: [illegible] კურსდამთავრებული სპეციალისტი სრულიად არ არის მომზადებული საიმისოდ, რომ თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში რამდენიმე მეცნიერების შესაყარზე იმუშაოს. ამისათვის მას კიდევ ბევრი სწავლა სჭირდება, თუმცა გაცილებით სჯობს, მაშინვე აქტიურად ჩაერთოს მეცნიერულ მუშაობაში. ამიტომაც საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ინტეგრაციის იდეა.

მეცნიერებაში დემოკრატია ჩემთვის ნიშნავს ყველა მეცნიერის ეფლებას გამოთქვას დამოუკიდებელი მეცნიერული იდეები ყოველგვარი ორგანიზაციული ზომების შიშის გარეშე, შეიძლება ახალგაზრდა მეცნიერი თავის მასწავლებელსაც კი დაუპირისპირდეს. ასეთ დემოკრატიას სამეცნიერო კოლექტივში ყოველმხრივ უნდა შეეწყოთ ხელი. განსაზღვრული აზრით, ჩემთვის ცნებები „მეცნიერება“ და „დემოკრატია“ სინონიმებია...

მიხეილ ხანანაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ყოვლისმომცველი პროცესი

ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესს, რომელსაც გარდაქმნის ცნებით გამოვხატავთ, არ გააჩნია, ძალისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით, ისტორიული ანალოგი და მაინც წარმოგვესახება ზოგი ასოციაცია ისტორიულ წარსულთან.

ასე, სახელდობრ, XVI საუკუნეში ევროპის ქვეყნებმა განიცადეს დიდი შემობრუნება ბუნებათმცოდნეობაში, ტექნიკასა და ცივილიზაციაში, საერთოდ. ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა ახალ, სქოლასტიკისაგან განთავისუფლებულ ბუნებისმეტყველებას.

ამას ჰქონდა თავისი შემეცნებითი, იდეური და სხვა წანამძღვრები. მაგრამ ეს შემობრუნება არ იქნებოდა ისე მასშტაბური და სწრაფი, როგორც სინამდვილეში იყო, რომ არ ყოფილიყო დანერგული და გავრცელებული წიგნის ბეჭდვის ახლად შემოდებული პრაქტიკა.

დღეს შეგვიძლია ცალსახად ვამტკიცოთ, რომ ჩვენი დროის გარდაქმნის ყოვლისმომცველობისა და დაჩქარების უზრუნველსაყოფად სრულიად აუცილებელია, უხვად მიეწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის, სანდო მომზადება გამოთვლითი ტექნიკა, კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნიკური საშუალებები. ეს ერთ-ერთი პირველი პირობათაგანია გარდაქმნის იდეის წარმატებისათვის. მეორე: რა თქმა უნდა, ხელმძღვანელ და მმართველ თანამდებობათა „გაახალგაზრდავება“ აუცილებელი და გარდაუვალი საქმეა. მაგრამ, თუ არ დავხუჭავთ თვალს და პირდაპირ შევხედავთ სინამდვილეს, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, მთლად ვერ არის მომზადებული სულიერად და პროფესიულად ამ დიადი საქმისათვის.

ამაში ჩვენ ვართ დამნაშავეები — უფროსი თაობა. ხანგრძლივად ვითმენდით ჩვენ გარშემო არსებულ საზოგადოებრივად მავნე მოვლენებს, შევეჩვიეთ მათ ახალგაზრდობა, ამასთანავე ვუკვირდით უმაღლეს სასწავლებლებში მომთხოვნელობას სტუდენტების მიმართ, რის გამოც საგრძნობლად დაქვეითდა სპეციალისტების მომზადების ხარისხი. ეს მდგომარეობა შეუწყნარებელია. დღესვე მკვეთრად უნდა გაიზარდოს მომთხოვნელობა. დღესვე, იმისათვის, რომ ერთი-ორი ხუთწლედის მანძილზე მაინც შეეტყოს სპეციალისტების ხარისხის გაუმჯობესება.

და ბოლოს — დემოკრატიზაციისა და საჯაროობის როლის გაძლიერება. რასაკვირველია, ესეც უაღრესად მოსაწონი მოვლენაა, რომელსაც ბევრი სასიკეთო სიახლე შემოაქვს ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ ამ საქმეში სულ არ უნდა მოქმედებდეს ერთგვარი რეგლამენტაცია. თუ საქმე შეეხება ხელმძღვანელ პოსტზე ასარჩევი „კანდიდატის დასახელებას, უნდა ასახელებდნენ კომპეტენტური პირები. მაგალითისათვის, თუ მხატვართა კავშირის თავმჯდომარეა ასარჩევი, კენჭსაც უნდა უყრიდნენ და კანდიდატსაც ეს სფეროთი დაინტერესებული მხატვრები. თუ სამეცნიერო დაწესებულებაში ხდება ეს პროცედურა, სიტყვა ეკუთვნით კომპეტენტურ მეცნიერებს. მეცნიერებათა აკადემიებში საჯაროობა ნაკადი ტრადიციაა. ხელმძღვანელ პოსტებზე ასარჩევად კანდიდატებს საჯაროდ განიხილავენ სამეცნიერო განყოფილებათა კრებებზე და აკადემიის საერთო კრებაზე.

ევგენი ხარაძე,
აკადემიკოსი.

ეს, ასე — ხვალ გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელსაც დიდი იმედით მოელიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მისი აქტივი.

უეჭველია, რომ რესპუბლიკის კომუნისტთა და უპარტიო მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით მიმდინარე სამზადისი, რომელიც მას უსწრებდა, პლენუმის მონაწილეებს საშუალებას მისცემს ყოველმხრივ, ღრმად და საფუძვლიანად გააანალიზონ დღემდე საამისოდ გაწეული მუშაობის ავ-კარგი.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, გარკვეული ძვრების მიუხედავად, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალ დარგსა თუ სფეროში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იგრძნობა ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნების სულისკვეთება, ბევრგან საქმე კვლავ ძველებურად მიდის, სრულად ვერ ვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს.

ეს განსაკუთრებით ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკებზე ითქმის, რომელთაც არ სურთ, ან უბრალოდ არ ძალუძთ მუშაობის გარდაქმნა, ახლებურად საქმიანობა.

ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი საბჭოეთის, მშრომელთა უფაროესი მასები ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის გარდამქმნელ კურსს, აცსდგენენ, რომ მზად არიან ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოლონ მისი განხორციელებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხვალინდელი პლენუმის გადაწყვეტილებები უთუოდ საამქიდო ორიენტირი და სახელმძღვანელო იქნება მათთვის ამ საქმეში.

ინაადღით

დაჩქარება • საჯაროობა • კადრები

ინტენსიალიზმისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული ფორ-
ადევრული განვითარებით, თვითმმართველობის გაფართოებით
ბელი ჩვენი წინსვლა... მხოლოდ დემოკრატიის მეშვეობით და
ნყალობით არის შესაძლებელი თვით გარდაქმნა.

მ. ს. გორბაჩოვი.

ბალი მაგიდა

ბალი მაგიდა

ბალ-ბალ

ბალ-ბალ

საუბილეო წელს ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად

(დასასრული)

დის, დიდფორმატიანი შეწებებული ფანერის გამოშვება. მაგრამ ქიმიურ-სატყეო კომპლექსის სამინისტროებმა ვერ მიაღწიეს წარმოების ზრდის დასახულ ტემპს, მათ ქმედითი ღონისძიებები ვერ განახორციელეს სისტემატურად ჩამორჩენილი მსხვილი საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დაგეგმილთან შედარებით აწარმოეს 138 ათასი ტონით ნაკლები გოგირდმჟავა, 18,7 ათასი ტონით ნაკლები კაუსტიკური სოდა, 48,6 ათასი ტონით ნაკლები სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, აგრეთვე, მთელ რიგ სახეობათა დიდეფექტიანი პროდუქცია — თერმოპლასტების, პოლიეთილენის, პოლისტიროლის, ოლეივინილქლორიდული მილები და მილსადენების დეტალები, ფისის, ცემენტ-ბურბუშელის, ხის ბურბუშელისა და მერქნის ბოჭკოს ფილები. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებებმა და საწარმოებმა მთლიანად ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

სამშენებლო კომპლექსის მრეწველობა

	წარმოებულია 1987 წლის I კვარტალში	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი ტოლი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი პროცენტებით 1986 წლის მარტთან შედარებით
ცემენტი-მილიონი ტონა	33,4	100,5	102	102
ასაწყობი რკინა-ბეტონი, მილიონი კუბური მეტრი	35	99,2	102	103
აზბესტცემენტის ფურცლები (შიფერი), მილიარდი პირობითი ფილა	2,2	100,5	104	104
რბილი სახურავი მასალები და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	502	100,2	100,4	102
აზბესტი, ათასი ტონა	538	101	105	105
ფანჯრის მინა, მილიონი კვადრატული მეტრი	65,0	100,1	98	98

გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 177 ათასი ტონა ცემენტი, 11 მილიონი პირობითი ფილა აზბესტცემენტის ფურცელი, 8 ათასი ტონა აზბესტი.

დაშვებულია ჩამორჩენა საბინაო მშენებლობისათვის გარეკედლების პროგრესული რკინაბეტონის სამფენა პანელების გამოშვებაში.

სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის წარმოება

	წარმოებულია 1987 წლის I კვარტალში	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი ტოლი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი პროცენტებით 1986 წლის მარტთან შედარებით
ყველა სახეობის ქსოვილი, მილიარდი კვადრატული მეტრი	3,2	99,7	101	109
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	6,6	102	99	102
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიონი ცალი	460	99,9	102	106
წინდის ნაწარმი, მილიონი წყვილი	509	101	100,2	108
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	209	99,8	100,2	106
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი საათები, მილიონი ცალი	16,8	97	96	106
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	247	99,7	103	106
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლისა), მილიონი მანეთისა	219	99,1	82	86
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	1,9	92	87	99
ტელევიზორები, მილიონი ცალი	1,9	83	83	95
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	0,9	75	89	104
მაგნიტოფონები, მილიონი ცალი	1,1	85	91	102
მაცივრები და საყინავები, მილიონი ცალი	1,5	94	97	103
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	1,4	95	105	113
„ზიგზაგის“ ტიპის ხაკერავი მანქანები, ათასი ცალი	229	95	98	107
ავეჯი, მილიარდი მანეთისა	2,1	99,5	103	108
მსუბუქი ავტომობილები ათასი ცალი	332	100,2	99,8	106
მოტოციკლები, ათასი ცალი	228	101	84	97
შპალერი, მილიონი პირობითი ნაჭერი	124	99,5	112	113

პირველ კვარტალში წარმოებულია 45 მილიარდ მანეთისაზე მეტი სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონელი. მაგრამ ეს დადგენილ დავალებაზე ნაკლებია. კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი დააკლეს (საწარმოთა გეგმებთან შედარებით) თითქმის 600 მილიონი მანეთისა, მათ შორის მანქანათსაშენებელი კომპლექსის სამინისტროების საწარმოებმა — 169 მილიონი მანეთისა, ქიმიურ-სატყეო კომპლექსისა — 122 მილიონი მანეთისა. დაძლეული არ არის წარმოების მოცულობათა შემცირება მსუბუქ მრეწველობაში. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ხელშეკრულებების მიხედვით სახალხო მეურნეობას დააკლო 490 მილიონი მანეთის საქონელი.

უზრუნველყოფილი არ არის ბამბეულის, სელის ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლის, ფერადი გამოსახულების ტელევიზორების, ორ და სამკამერიანი მაცივრების, გადიდებული კომფორტულობის ელექტრომტვერსასრუტების, მოტობლოკების, ზოგიერთი სხვა საქონლის წარმოების გეგმის შესრულება.

აგროსამრეწველო კომპლექსი

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8,7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება საზოგადოებრივ სოფლის მეურნეობაში გადიდდა 9,5 პროცენტით.

საერთო-საკავშირო ფონდში ხორცისა და რძის პროდუქტების, კვერცხის მიწოდების გეგმა შესრულდა როგორც მთლიანად, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

აგროსამრეწველო კომპლექსის **კვების მრეწველობის** საწარმოთა მიერ ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებასა და გეგმის შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებულია 1987 წლის I კვარტალში	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი ტოლი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი პროცენტებით 1986 წლის მარტთან შედარებით
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), მილიონი ტონა	3,0	109	106	113
ძეხვეული, ათასი ტონა	915	103	104	107
ერბო-კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	265	115	112	109
მრუბდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), მილიონი ტონა	7,7	105	104	105
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	421	99,96	104	108
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	833	101	102	95
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	1,2	102	103	105
კონსერვები, მილიარდი პირობითი ქილა	3,5	109	112	116
მათ შორის ხილბოსტნეულის	2,3	111	118	124
სასურსათო თევზეული, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი ტონა	1,5	102	99,3	98

1987 წლის პირველ კვარტალში ლიქიორ-არაყისა და ღვინის მრეწველობის პროდუქციის წარმოება 20 პროცენტით შემცირდა.

მცენარეული ზეთის წარმოების გეგმა ვერ შეასრულეს აზერბაიჯანის სს, ლიტვის სს, ყირგიზეთის სს რესპუბლიკებმა, ძეხვეულისა და ხორცის ნახევარფაბრიკატებისა — საქართველოს სს, მოლდავეთის სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებმა.

შემცირდა კვალსათბურ-სათბურებისა და ღია გრუნტის საადრეო ბოსტნეულის შესყიდვა. პირველ კვარტალში მათ შეადგინეს 127,4 ათასი ტონა, რაც 4 პროცენტით ნაკლებია 1986 წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგინა:

	1986 წლის I კვარტალი	1987 წლის I კვარტალი	1987 წელი პროცენტებით 1986 წელთან შედარებით	1987 წლის მარტი პროცენტებით 1986 წლის მარტთან შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), მილიონი ტონა	5,2	5,7	110	120
რძე, მილიონი ტონა	13,4	14,5	108	108
კვერცხი, მილიარდი ცალი	13,9	14,2	102	104

პირველ კვარტალში პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის მოცულობანი შეამცირეს ესტონეთის სს რესპუბლიკის მეურნეობებში, კვერცხისა — უკრაინის სსრ და ესტონეთის სსრ მეურნეობებში.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით **ხორცის** წარმოება გაიზარდა 8 პროცენტით, **რძისა** — 6 პროცენტით, **კვერცხისა** — 2 პროცენტით. ერთი ძროხის საშუალო წველადობა 6 პროცენტით გაიზარდა, მოქცეულის მეკვერცხულობა შარშანდელ დონეზეა.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათშორისო საწარმოებში შეადგინა (მილიონი სული):

	1986 წლის 1 აპრილისათვის	1987 წლის 1 აპრილისათვის
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	97,0	97,6
მათ შორის ძროხა	29,2	29,0
ღორი	58,8	59,6
ცხვარი და თხა	132,6	134,1
ფრინველი	779,3	777,7

იმატა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გაწყდომამ მოლდავეთის სსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ლატვიის სსრ მეურნეობებში, ღორებისა — ტაჯიკეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, უკრაინის სსრ, ყირგიზეთის სსრ და ყაზახეთის სსრ მეურნეობებში; ცხვრისა და თხისა — უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, თურქმენეთის სსრ მეურნეობებში.

მთავრდება საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. აპრილის დამდეგისათვის გამართული იყო ტრაქტორების მთლიანი რაოდენობის 91 პროცენტი, სათესელების — 98 პროცენტი, ტრაქტორის გუთნების — 97 პროცენტი, კულტივატორების — 98 პროცენტი. მაგრამ რემონტი ყველგან საჭირო ტემპით როდი წარმოებს. ამის შედეგად 1 აპრილისათვის ქვეყნის მეურნეობებში ტექნიკურად გაუმართავი იყო 255 ათასი ტრაქტორი, აქედან 48 ათასი ენერგოგაჯერებული, 223 ათასი სატვირთო ავტომობილი. შუა აზიის რესპუბლიკების მეურნეობებში, სადაც სრული სვლით წარმოებს მინდვრის სამუშაოები, გაუმართავია ნიადაგის დასამუშავებელი მანქანებისა და იარაღის მნიშვნელოვანი რაოდენობა, კერძოდ, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — ტრაქტორის გუთნების 13 პროცენტი, კულტივატორების 10 პროცენტი. ასეთივე მდგომარეობაა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში. დიდძალი ტექნიკა არ არის მომზადებული რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ, ბელორუსიის სსრ მეურნეობებში.

ყოვნდება საკვების ასაღები ტექნიკის შეკეთება. საგაზაფხულო თესვას შეუდგნენ 11 მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეობათშორისო საწარმოები. 6 აპრილისათვის შექმნილი მდგომარეობის მიხედვით საგაზაფხულო კულტურები დათესილია 2,3 მილიონ ჰექტარ ფართობზე, მათ შორის მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 1,1 მილიონ ჰექტარზე.

შესრულებულია ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი მანქანების, მინერალური სასუქებისა და ქიმიური საკვები დანამატების მიწოდების გეგმა. გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები ტრაქტორი და მანქანაა მიწოდებული ნიადაგში მინერალური და მყარი ორგანული სასუქების შესატანად.

მიწოდებულია 87 ათასი ტრაქტორი, 48 ათასი ტრაქტორის გუთანი, 12 ათასი დისკოებიანი ფარცხი, 63 ათასი ტრაქტორის კულტივატორი, 55 ათასი ტრაქტორის სათესელა, ნიადაგში მინერალური და მყარი ორგანული სასუქების შეტანისათვის გათვალისწინებული 22 ათასი მანქანა.

სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდებამ (100 პროცენტ ყუთიან ნივთიერებაზე გადაანგარიშებით) შეადგინა 7 მილიონი ტონა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 466 ათასი ტონით მეტი. ქიმიური საკვები დანამატების მიწოდებამ — 264 ათასი ტონა, ანუ 3,4 ათასი ტონით ნაკლები.

სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების უზრუნველმყოფი დარგების განვითარებისათვის გამოყოფილია დაახლოებით 10 მილიარდი მანეთი **კაპიტალდაბანდება.** ამოქმედდა მეცხოველეობის სადგომები და მექანიზებული ფერმები, მეცხოველეობისათვის გათვალისწინებული საკვები საამქროები, სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი, მოუხდელი რძის პროდუქციის, მცენარეული ზეთის, მინერალური სასუქების, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა-მოწყობილობების საწარმო სიმძლავრეები.

კაპიტალური მშენებლობა

ძირითადი ფონდების ამოქმედებამ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე 16,4 მილიარდი მანეთი, ანუ პირველი კვარტალის გეგმის 9 პროცენტი შეადგინა. ათვისებულია 32,4 მილიარდი მანეთის სახელმწიფო **კაპიტალდაბანდებანი.** ამ პერიოდისათვის დადგენილი კაპიტალდაბანდებების ლიმიტი 95 პროცენტით არის გამოყენებული. ამ მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა შესრულების დონე გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით დაბალია. კაპიტალურ მშენებლობაში გარდაქმნა ხორციელდება ნელა, შესამჩნევი ძვრები ჯერ არ მომხდარა.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულებასა და ზრდის ტემპს **კომპლექსების მიხედვით** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი ტოლი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი პროცენტებით 1986 წლის მარტთან შედარებით
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	89	98	98
მეტალურგიული კომპლექსი	74	95	100,1
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	93	123	120
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	87	84	79
აგროსამრეწველო კომპლექსი	101	109	118
სამშენებლო კომპლექსი	100,3	110	115
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	139	120	120

ყველაზე დიდი ჩამორჩენა ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულებაში დაუშვეს სსრ კავშირის ატომური ენერგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მიწისქვეშა სასუქების წარმოების სამინისტრომ, სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთისა და იმირბაიკალეთის რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ.

ახალი ტურბინები ამოქმედდა სურგუთის № 2 სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, ტიუმენის № 2 თბოელექტროცენტრალში, ორენბურგის საკმარის თბოელექტროცენტრალში (მეორე რიგი), ამოქმედდა ქვანახშირის მომპოვებელი სიმძლავრეები კემეროვოს ოლქის „კომსომოლეცის“ შახტში, ფოლადის მწარმოებელი სიმძლავრეები ჩერეპოვეცის მეტალურგიულ კომბინატში, ლითონსაჭრელი ჩარხების მწარმოებელი სიმძლავრეები ალმა-ათის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, მაგისტრალური ელმავლებისა — როსტოვის ოლქის ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელ ქარხანაში, ავტომობილის ძრავების — იაროსლავლის მოტორების ქარხანაში. საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი უბნები მაგისტრალურ გაზსადენებზე. გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სიმძლავრეები.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებული **საიჯარო სამუშაოთა** მოცულობა 4 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება — 3,3 პროცენტით, სამშენებლო კომპლექსის ორგანიზაციებში — შესაბამისად 4 პროცენტითა და 3,9 პროცენტით.

საიჯარო სამუშაოთა დადგენილი მოცულობა ვერ შეასრულეს სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ურალისა და ციმბირის რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთისა და იმირბაიკალის რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, უკრაინის სს, ბელორუსიის სს, უზბეკეთის სს, საქართველოს სს, აზერბაიჯანის სს, ლიტვის სს, მოლდავეთის სს, ტაჯიკეთის სს, სომხეთის სს, თურქმენეთის სს რესპუბლიკების მშენებლობის სამინისტროებმა.

მრავალი სამშენებლო ორგანიზაცია 1987 წლის საგეგმო ობიექტებზე სამუშაოთა შესრულების ნაცვლად აღმოფხვრიდნენ ხარვეზებს შარშან ჩაბარებულ ობიექტებზე.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის მიერ ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	შესრულებულია 1987 წლის I კვარტალში	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წლის I კვარტალი ტოლი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით	1987 წლის მარტი პროცენტებით 1986 წლის მარტთან შედარებით
ტვირთზიდვა (გაგზავნა), მილიონობით ტონა				
რკინიგზის ტრანსპორტი	946	95	96	97
საზღვაო ტრანსპორტი	55	102	99,3	105
მათ შორის საკაბოტაჟო ნაოსნობაში	16	101	98	99,5
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	1596	100,8	101	105
მილსადენი ტრანსპორტი (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატუმბვა)	163	100,9	103	103
გაზსადენი ტრანსპორტი (სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრო)	137	101	107	107
მგზავრთბრუნვა, მილიარდობით მგზავრ-კილომეტრი				
რკინიგზის ტრანსპორტი	78	102	102	103
საჰაერო ტრანსპორტი	36	102	104	105

საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გასული წლის პირველი კვარტალის ფაქტობრივ მოცულობასთან შედარებით შემცირდა 0,5 პროცენტით. მგზავრთბრუნვა გაიზარდა 2 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტმა ტვირთის გადაზიდვის გეგმის შესრულებას დააკლო 45,5 მილიონი ტონა, მათ შორის ქვანახშირი, ხე-ტყის ტვირთი, რკინისა და მანგანუმის მადანი, ფლუსი, შავი ლითონები და სხვა. შესრულებულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ფერადი ლითონების მადნისა და გოგირდის ნედლეულის, ცემენტის, მინერალური სასუქებისა და ზოგიერთი სხვა ტვირთის გაგზავნის გეგმა. 32 რკინიგზიდან ტვირთის საერთო გაგზავნის გეგმა ვერ შეასრულა 25 რკინიგზამ, მათ შორის ვოლგისპირეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, დონეცკის, ლვოვის რკინიგზები. გაუარესდა მოძრავი შემადგენლობის გამოყენება, არ აღმოფხვრილა მატარებლების მოძრაობის გრაფიკის დარღვევა — განრიგით გაიგზავნა სატვირთო მატარებლების მხოლოდ 71,5 პროცენტი.

საზღვაო ტანსპორტზე შესრულდა საზღვარგარეთ- და საკაბოტაჟო ნაოსნობაში ტვირთზიდვის გეგმები. საკაბოტაჟო ნაოსნობაში ტვირთის გაგზავნის დავალებებს ვერ გაართვეს თავი ბალტიის, დუნაის, აზოვის, კამჩატკის, ლატვიის, ნოვოროსიისკის სანაოსნოებმა. საზღვაო ნავსადგურებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა გეგმა შესრულდა 99,1 პროცენტით, პირდაპირი ვარიანტით (გემი-ვაგონი, ვაგონი-გემი) გადამუშავდა ტვირთის 33 პროცენტი.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაიყვანა 22 მილიონ მგზავრი. არ შესრულებულა სახალხო მეურნეობის ტვირთის გადაზიდვისა და მისი დარგების მომსახურების დავალებანი.

საავტომობილო ტრანსპორტით გადატანილია 12,6 მილიონი ტონით მეტი ტვირთი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული: გეგმა ვერ შეასრულეს მოლდავეთის სს, უზბეკეთის სს, უკრაინის სს, თურქმენეთის სს რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროთა, ესტონეთის სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს საწარმოებმა. საერთო სარგებლობის ავტობუსებისა და მსუბუქი ტაქსების მიერ მგზავრთა გადაყვანით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,9 მილიარდი მანეთი, ანუ გეგმის 101 პროცენტი. ავტობუსებით გადაყვანილია 12,2 მილიარდი მგზავრი და შესრულებულია 110 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი, რაც შესაბამისად 3 და 2 პროცენტით მეტია 1986 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

გაუარესდა სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები: გაიზარდა გამართული მანქანების მოცდენის ხვედრითი წილი, უკმი გარბენის წილი; შემცირდა მათი მწარმოებლობა ერთ ტონა ტვირთამწეობაზე გადაანგარიშებით.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა ძირითადი საქმიანობისაგან შემოსავლის გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით; გასული წლის ამავე წლის პერიოდთან შედარებით იგი გაიზარდა 6 პროცენტით.

IV. სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ზრდის ანაზღაურება და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი 1987 წლის პირველ კვარტალში გაიზარდა 202 მანეთამდე გასული წლის შესაბამისი პერიოდის 198. მანეთის ნაცვლად, ანუ 2 პროცენტით. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ იმატა 4 პროცენტით.

კვალიფიციური კადრების დამკვიდრების მიზნით დადგინდა ერთდროული გასამჯელო საპროექტო, კვლევით და საპროექტო-კვლევითს ორგანიზაციებში 8 წლის ნამსახურობისათვის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის-მუშაკებისათვის. შემოღებულია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის პროცენტული დანამატების გარდა შორეული აღმოსავლეთის ჩიტის ოლქის, ბურიატეთის ასს და ტუვის ასს რესპუბლიკების სამხრეთ რაიონებში მდებარე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის.

სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ემზადებიან სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისათვის. მუშავდება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და განაკვეთებისა და სარგოების გადიდებისათვის საჭირო სახსრების გამოძებნის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 38 მილიარდ მანეთზე მეტი **მოხაცემლები და შეღავათები,** რაც 2 მილიარდი მანეთით, ანუ 4, 8 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში. ამ მოსაცემლებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა შეადგინა თვეში 279 მანეთი.

გაიზარდა ბავშვობიდან ინვალიდებისათვის დახმარების ოდენობა, დადგინდა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათები, გაუქმდა ახალდაქორწინებულთათვის მცირერიცხოვანი ოჯახის მოქალაქეთათვის გათვალისწინებული გადასახადის გადახდევინება ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან პირველი წლის განმავლობაში.

საქონლითა და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 81,9 მილიარდი მანეთი. არ შესრულებულა პირველი კვარტალის გეგმა საერთო მოცულობის მიხედვით როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

გრძელდებოდა დადებითი სტრუქტურული ცვლილებები მოხმარებაში. შემცირდა ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაცია, მათი წილი საქონელბრუნვაში.

ცალკეული საქონლის გაყიდვას სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები.

	1987 წლის I კვარტალი ტოლი 1986 წლის I კვარტალთან შედარებით
პურ-პროდუქტები	99
ხორცი და ხორცპროდუქტები	105
თევზი და თევზის პროდუქტები	99
ერბო-კარაქი	105
მცენარეული ზეთი	101
მარგარინის პროდუქცია	103
მოუხდელი რძის პროდუქცია	104
ყველი	102
კვერცხი	101
შაქარი	119
საკონდიტრო ნაწარმი	103
ჩაი	115
კარტოფილი	107
ბოსტნეული	101
ხილი და ციტრუსი	110
უალკოჰოლო სასმელები	115
მინერალური წყლები	111
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	101
ალკოჰოლიანი სასმელები	70
თამბაქოს ნაწარმი	99
ტანსაცმელი, საცვალი, და ქსოვილები	100
ტრიკოტაჟის ნაწარმი	102
წინდები	107
ფეხსაცმელი	94
ფაიფურ-ქაშანური, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	86
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებები	101
ავეჯი	101
მაცივრები და საყინავები	102
მათ შორის	200
კუბური მეტრი	
დეციმეტრისა და მეტი ტევადობის	
კამერიანი	104
სარეცხი მანქანები	104
ელექტრომტვერსასრუტები	100
საათები	96
ფოტოაპარატები	100
რადიომიმღები მოწყობილობა	113
ტელევიზორები	81
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	84
მაგნიტოფონები	95
ველოსიპედები და მოპედები	100
მოტოციკლები და მოტოროლერები	90
მსუბუქი ავტომობილები	87
ხე-ტყის მასალა	102
შიფერი	104
საბურავი ფურცლოვანი ფოლადი და სხვა ლითონპროდუქცია	113

ხორცისა და რძის პროდუქტების გაყიდვის ზრდის მიუხედავად ქვეყნის ზოგიერთ რაიონში კვლავ აღინიშნა შეფერხებები ამ პროდუქტების ვაჭრობაში.

ბევრი სახეობის ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, განსაკუთრებით მოდური და გადიდებული კომფორტულობის საქონელზე მოთხოვნილება მოლიანად ვერ კმაყოფილდება; ზშირად მაღაზიებში არსებული ასორტიმენტი სეზონს არ შეესაბამება.

თვის მანძილზე რიტმულად ვერ ხორციელდება ვაჭრობაში საქონლის მიწოდება, მისი რეალიზაცია, განსაკუთრებით არასასურსათო საქონლისა; ბევრ მაღაზიაში ბოლო დეკადაში მიაქვთ და იყიდება თვის ფონდების მოცულობის 50 პროცენტზე მეტი. ეს იწვევს რიგებს, სავაჭრო მომსახურების დაბალ დონეს.

რამდენადმე გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება ცალკეული საშენი მასალებით, მაგრამ მთლიანად ვერ არის უზრუნველყოფილი მათი ადგილობრივი სახეობების საქონლის, კერძოდ აგურის ვაჭრობა. სავაჭრო საწარმოები არადამაკმაყოფილებლად აწყობენ გაყიდვას, პრაქტიკულად არ ხორციელდება საშენი მასალების შერჩევა, შეფუთვა, დატვირთვა და გადაზიდვა; როგორც წესი, ყოველივე ეს მყიდველს ეკისრებათ.

მოსახლეობას გაეწია 11,4 მილიარდი მანეთის ფასიანი მომსახურება, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან 9,4 პროცენტით მეტია.

მოსახლეობას გაეწია 2,7 მილიარდი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის სოფლად — 0,7 მილიარდი მანეთისა, მატება შესაბამისად შეადგინა 8,4 და 9,0 პროცენტი. მაგრამ გეგმა ვერ შესრულდა. ჩამორჩნენ რუსეთის სფს, უკრაინის სს, უზბეკეთის სს, საქართველოს სს, აზერბაიჯანის სს, მოლდავეთის სს, ტაჯიკეთის სს და თურქმენეთის სს რესპუბლიკები.

იქნება სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი, საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურების კოოპერატივები.

ხალხური და ხოციალურ-კულტურული მშენებლობა (სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე). საექსპლოატაციოდ გადაეცა 12,3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 21 პროცენტით მეტია. მთლიანად ქვეყანაში პირველი კვარტალის გეგმა დადაჭარბებით შესრულდა. დავალება ვერ შეასრულეს საქართველოს სს, სომხეთის სს, თურქმენეთის სს რესპუბლიკებმა, აგრეთვე სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მანქანათმშენებლობის, სსრ კავშირის ატომური ენერგიის, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა.

ამოქმედდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 36 ათასი მოსწავლისათვის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები—2,4 ათასი მოსწავლისათვის, 22 ათას ადგილიანი სკოლამდელი დაწესებულებები, 2,7 ათასი საწოლიანი საავადმყოფოები და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი, რომლებიც ცვლაში 10,5 ათას ავადმყოფს მიიღებენ. აშენდა კლუბები და კულტურის სახლები 8,9 ათასი კაცისათვის. ვერ შესრულდა სკოლამდელი დაწესებულებების, პოლიკლინიკების, განსაკუთრებით კლუბებისა და კულტურის სახლების